საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის საეკლესიო მუზეუმი

თბილისის საეკლესიო მუზეუმი, დაარსდა 1888 სიონის ტაძართან ი. ჭავჭავაძის, დ. ბაქრაძისა და სხვათა თაოსნობით. თ. ს. მ-ის მიზანი იყო საქართვ. ეკლესია-მონასტრებში შემონახული წერილობითი ძეგლების წარმოჩენა, შეკრება, შენახვა და შესწავლა. მუზეუმმა თავი მოუყარა მრავალ უძველეს, უნიკალურ ქართ. ხელნაწერს (V–VI სს. პალიმფსესტები მოხატული ხელნაწერი წიგნები და სხვ.). თ. ს. მ-ის ფონდი 1921 თბილ. უნ-ტს გადაეცა, 1930 კი სხვა სიძველეთსაცავების ფონდებთან ერთად – საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ხელ-ნაწერთა განყ-ბას. თ. ს. მ-ის ხელნაწერთა აღწერილობა შეადგინეს თ. ჟორდანიამ (1902 გამოსცა 2 ტომად 800 ხელნაწერის აღწერილობა), მ. ჯანაშვილმა (1908 გამოსცა 240 ხელნაწერის აღწერილობა); თ. ს. მ-ში 1908-ის შემდეგ შემოსული ხელნაწერები კვლავ აღიწერა 1921–28 წლებში. 1927 თ. ს. მ-მა შეწყვიტა არსებობა. მუზეუმის გამგეები სხვადა-სხვა დროს იყვნენ დ. ბაქრაძე (1888–97), მ. ჯანაშვილი (1898–1927)